

მე-13 მოდული

საგამოცდო ტიპობრივი კითხვები

- ჩამოთვლილთაგან რომელია გრამდადებითი და გრამუარყოფითი ბაქტერიების სტრუქტურული განსხვავებების ყველაზე ზუსტი აღწერა?
 - გრამდადებით ბაქტერიებს აქვთ სქელი პეპტიდოგლიკანური ფენა, ხოლო გრამუარყოფით ბაქტერიებს აქვთ თხელი ფენა.
 - გრამდადებით ბაქტერიებს აქვთ გარე ლიპიდებით მდიდარი მემბრანა, ხოლო გრამუარყოფით ბაქტერიებს არა.
 - გრამდადებითი ბაქტერიები ქმნიან სქესის პილუსს, რომელიც შუამავლობს კონიუგაციას, ხოლო გრამუარყოფითი ბაქტერიები არა.
 - გრამდადებით ბაქტერიებს აქვთ პლაზმიდები, ხოლო გრამუარყოფითი ბაქტერიები არა.
- რას უწოდებენ ბაქტერიებს რომლთაც გააჩნიათ შოლტების კონა ერთ-ერთ ბოლოზე?
 - მონოტრიქი
 - ლოფოტრიქი
 - ამფიტრიქი
 - პერიტრიქი
- რა თავისებურებით ხაიათდება გრამდადებითი ბაქტერიების უჯრედის კედელი?
 - მის შემადგენლობა შედის გარეთა მემბრანა
 - მის შემადგენლობაში შედის თეიხოს მჟავები
 - შეიცავს ლიპოპოლისაქარდის
 - მასში თითქმის ყოველთვისაა დიამინოპიმელინის მჟავა
- ჩამოთვლილთაგან რომელ ბაქტერიას არ გააჩნია უჯრედის კედელი?
 - აქტინომიცეტებს
 - რიკეტსებს
 - მიკოპლაზმებს
 - ნოკარდიებს
- რომელი ნივთიერების არსებობას უკავშირდება ბაქტერიის სპორების მაღალი რეზისტენტობა გარემოს არახელსაყრელი პირობებისადმი?
 - მიკოლოს მჟავის
 - დიპიკოლის მჟავის კალციუმის მარილების
 - დიამინოპიმელინის მჟავის
 - თეიხოს მჟავის
- ჩამოთვლილთაგან რომელი ბაქტერიები არ იღებება გრამის წესით?
 - სტაფილოკოკები
 - სტრეპტოკოკები
 - ემერიხიები
 - მიკობაქტერიები
- სამედიცინო დაწესებულებაში შემოვიდა პაციენტი ფეხზე 5 სმ-იანი წყლულით. ნაცხის გრამის წესით შეღებვით აღმოჩნდა ძველვისებურად განლაგებული გრამდადებითი კოკები. საკვებ

ნიადაგზე ზრდისას ისი იზრდება მცირე ზომის კოლონიების სახით რომესაც აღენიშნება β-ჰემოლოზი. დადგინდა რომ მიკრობი კატალაზა-უარყოფითია. ეს შედეგები მიუთითებს, რომ ორგანიზმის დაზიანების სავარაუდო გამომწვევია?

1. *S. aureus*
2. *E. faecalis*
3. *S. epidermidis*
4. *S. pyogenes*

8. 19 წლის ახალგაზრდა მამაკაცმა მიამართა სამედიცინო დაწესებულებას რადგან ქონდა ურეთრიდან გამონადენი ბოლო 24 საათის მანძილზე. ნაცხის მიკრობიოლოგიური გამოკვლევით დამოვლენილ იქნა *N. gonorrhoeae*. ჩამოთვლილთაგან რომელი ნიშნით განსხვავდება გონოკოკი და მენინგოკოკი ერთმანეთისგან?

1. მენინგოკოკი არის ოქსიდაზა-პოზიტიური, ხოლო გონოკოკი კი არა
2. მენინგოკოკს აქვს სქელი პოლისაქარიდული კაფსულა, გნოკოკს არა
3. მენინგოკოკს შეიცავს ლიპიდ A-ს, გონოკოკი კი არა
4. მენინგოკოკი ასინთეზირებს IgA-პროტეაზას, გონოკოკი კი არა

9. 50 წლის მამაკაცმა მიამართა სამედიცინო დაწესებულებას, მას აღენიშნებოდა შემუპებული ჰემორაგიულ-ნეკროტული ანთებითი პროცესი მარცხენა ხელზე, რომლის ცენტრი იყო მორუხო-შავი შესახედაობის. აღმოჩნდა, რომ პაციენტი იყო პროფესიით ყასაბი. ეჭვი იქნა მიტანილი ერთ-ერთ ზოონანთროპონოზულ დაავადებაზე. ჩამოთვლილთაგან რომელია სავარაუდო ინფექცია?

1. ბოტულიზმი
2. ბრუცელოზი
3. ტულარემია
4. ჯილეხი

10. ახალგაზრდა დიასახლისი სასწრაფოდ გადაყვანილ იქნა სამედიცინო დაწესებულებაში. იგი უჩიოდა მხედველობის გაორებას, უჭირდა ლაპარაკი, ბოლო ორის საათის მანძილზე აღენიშნებოდა პირის სიმშრალე და ზოგადი სისუსტე. წინა დღით ვახშამზე ოჯახის წევრებისთვის მან მოამზადა კონსერვირებული ლობიო, რომელიც გასინჯა მოხარშვამდე. ოჯახის არც ერთ წევრს არ აღენიშნება მსგავსი სიმპტომები. ჩამოთვლილთაგან რომელია სავარაუდო დიაგნოზი?

1. ტეტანუსი
2. ბოტულიზმი
3. ბრუცელოზი
4. ტულარემია